დადგენილება:**დ-37.37221664**
თარიღი:**15/06/2022**

დადგენილება N22

2022 წლის 15 ივნისი

ქ. ოზურგეთი

„ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/05/2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016458) და დადგენილების:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“

2. 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (შემდგომში - „პროგრამის“) განხორციელების წესი თანახმად N1 დანართისა.“.

3. N1 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

4. N2 და N3 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით:

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი